

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ინფორმაცია

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) განსაზღვრულია 27 497 965 ლარით. აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს 16 474 418 ლარს, ხოლო დარჩენილი 11 023 547 ლარი შეადგენს სხვადასხვა სახის ტრანსფერს. ტრანსფერებში გათვალისწინებულია გათანაბრებითი ტრანსფერი – 4 612 500 ლარი, მიზნობრივი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 250 000 ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან – 3 866 615 ლარი, 5 073 ლარი შეადგენს 2015 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა, ხოლო 2016 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში – 2 176 745 ლარი. 2016 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთში გათვალისწინებულია, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის #34 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 7060 ლარი, 2476 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებით გამოყოფილი თანხა, ხოლო 103 078 ლარი შეადგენს 2015 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა.

რაც შეეხება 2016 წლის წლიური ფაქტიურ შემოსავლებს:

სულ შემოსულობები გეგმით გათვალისწინებული იყო 23 114 934 ლარს, ხოლო ფაქტიური შემოსულობები შეადგინა 22 759 033 ლარი, რომელიც წლიური გეგმის 98.46 %-ია. 2016 წლის ფაქტიური შემოსულობები 243 800 ლარი მეტი შემოსულია 2015 წლის ანალოგიური შემოსულობებთან შედარებით. 2016 წლის გადასახადების გეგმა იყო – 8 829 000 ლარი, ხოლო ფაქტიური შემოსავლები – 8 770 152 ლარი პროცენტით კი 99.33 %-ით, მაგრამ 2016 წლის გადასახადების ფაქტიური მაჩვენებლები 4 857 855 ლარი მეტი შემოსულია 2015 წლის ანალოგიური მაჩვენებლებთან შედარებით. გათანაბრებითი ტრანსფერი – 4 612 500 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 244 424 ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან – 3 770 081 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში – 2 176 745 ლარი, სხვა შემოსავლების 2016 წლის ფაქტი შეადგენს 2 876 042 ლარი, პროცენტით კი 93,83 %-ია, ხოლო 2015 წლის ანალოგიური ფაქტებთან შედარებით 409 195 ლარი ნაკლებია, რაც შეეხება არაფინანსური აქტივების კლებას, რომელიც გეგმით გათვალისწინებულია 315 000 ლარი, ხოლო ფაქტიურად შემოსავალი თანხა შეადგენს – 309 089 ლარი, პროცენტით კი 98,12 %-ია, 2015 წელთან შედარებით 42 983 ლარი მეტია.

რაც შეეხება 2016 წლის წლიური ფაქტიურად გახარჯული თანხების ოდენობას, სულ შეადგენს 24 098 909 ლარს. აქედან ორგანიზაციული ბიუჯეტის მიხედვით:

1. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 831 398 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი ხარჯების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე 570 306

ლარი, აქედან თანამდებობრივი სარგოზე—453 696 ლარი, ხოლო პრემიაზე—116 610 ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზრაურებაზე 20618 ლარი. ქვეყნის შიგნით მივლინებებზე - 450 ლარი, ქვეყნის გარეთ მივლინებებზე - 2928 ლარი. ოფისის ხარჯების მუხლით 21 370 ლარიდან საკანცელარიო საქონელზე გახარჯულია - 6 337 ლარი, 760 ლარით შეძენილია მობილური ტელეფონები, ხოლო კავშირგაბმულობის ხარჯებზე - 14 273 ლარი. წარმომადგენლობით ხარჯზე 8 279 ლარი. ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებით გახარჯულ 105 964 ლარში 99 058 ლარი გათვალისწინებულია საწვავ/საპოხი მასალების შეძენაზე, ხოლო 6 906 ლარი მიმდინარე რემონტის ხარჯზე. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული ხარჯი შეადგენს 83 810 ლარს, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გახარჯულია 3 967 ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გატარებული 13 600 ლარით შეძენილია ავტო მანქანა, ხოლო 100 ლარი გახარჯულია ვალდებულებების კლების მუხლით.

2. აღმასრულებელი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 4 177 933 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი ხარჯების დასაფარავად: შრომის ანაზრაურებაზე— 2 527 122 ლარი, აქედან აქედან თანამდებობრივი სარგოზე - 1 920 210 ლარი, ხოლო პრემიაზე - 606 912 ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზრაურებაზე - 168 776 ლარი, ქვეყნის შიგნით მივლინებებზე - 4 290 ლარი, ხოლო ქვეყნის გარეთ მივლინებებზე - 15 398 ლარი. ოფისის ხარჯების მუხლით გახარჯული 265 277 ლარი გადანაწილდა შემდეგი ხარჯების დასაფარავად: საკანცელარიო საქონელზე - 19 456 ლარი, კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯებზე - 4 500 ლარი, ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯებზე - 1 264 ლარი, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯებზე - 24 640 ლარი, საოფისე ინვენტარის შეძენაზე - 20 921 ლარი, კომუნალურ ხარჯებზე - 116 032 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებზე - 42 606 ლარი, ხოლო სხვადასხვა საოფისე ხარჯებზე - 35 858 ლარი. წარმომადგენლობით ხარჯზე 63 770 ლარი. რბილი ინვენტარის მუხლით გახარჯულია 2 691 ლარი. ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებით გახარჯულ 230 264 ლარში გათვალისწინებულია შემდეგი საქონელი და მომსახურება: ადმინისტრაციული მანქანების საწვავ/საპოხი მასალების შესყიდვა - 148 687 ლარი, მიმდინარე რემონტებზე - 42 389 ლარი, ხოლო მანქანის დაქირავება - 39 189 ლარი. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული 365 041 ლარი შეადგენს შემდეგ მომსახურებებს: მუნიციპალიტეტის შენობის დაცვის მომსახურება - 64 920 ლარი, მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ჩატარებული საექსპერტო მომსახურებაზე - 227 120 ლარი, საარქივო მომსახურებაზე - 9 523 ლარი, ხოლო სხვადასხვა მომსახურებაზე - 63 478 ლარი. გრანტის მუხლით - 45 000 ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გახარჯულია 7 254 ლარი. სხვა ხარჯების მუხლით გახარჯულია 6 328 ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გატარებული 443 165 ლარიდან შენობა-ნაგებობაზე - 231 102 ლარი, 212 063 ლარით შეძენილია ავტო მანქანები, 46 390 ლარით შეძენილია კომპიუტერები, 2405 ლარით მობილური ტელეფონები, 22 359 ლარით პრინტერები, 545 ლარით პოტოაპარატი, 9792 საოფისე ავეჯი, 11 172 ლარით შეძენილია სხვადასხვა ინვენტარი, ხოლო 33 557 ლარი გახარჯულია ვალდებულებების კლების მუხლით.

3. სარეზერვო ფონდიდან გახარჯული 92 628 ლარი გაწეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის შესაბამისად გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად. (დანართი #1 შესაბამისად)
4. წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებებზე გახარჯულია 158 848 რომელიც წარმოადგენს აღებული სესხების ძირის დაფარვას.
5. ვალთან დაკავშირებული ოპერაციის მუხლით გაწეული ხარჯი არის 84 656 ლარი რომელიც შეადგენს აღებული სესხების პროცენტის დაფარვას.
6. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯი შეადგენს სულ 180 953 ლარს, რომელიც შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: შრომის ანაზრაურება – 154 811 ლარი, აქედან თანამდებობრივი სარგოზე – 124 786 ლარი, ხოლო პრემიაზე – 30 025 ლარი. ოფისის ხარჯებით გაწეულია 12 541 ლარი შემდეგი ხარჯების დასაფარავად: საკანცელარიო საქონელზე – 2 450 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებზე – 1 613 ლარი, ხოლო კომუნალურებზე – 8 478 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებით სულ გახარჯულია 13 531 ლარი; აქედან საწვავის შესყიდვაზე – 9 940 ლარი, ხოლო ტრანსპორტის დაქირავებაზე – 3 591 ლარი.
7. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე სულ გახარჯულია 12 343 191 ლარი. აქედან:
 - 7.1. გზებისა და ხიდების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვაზე გახარჯულია სულ 4 448 079 ლარი. აქედან, გზების მოვლა-შენახვა და მოხრეშვითი სამუშაოზე გახარჯულია 422 559 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გახარჯულია – 4 025 520 ლარი. მათ შორის:
 - ✓ 237811 ლარი სოფ. ბეგლიართან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.
 - ✓ 94519 ლარი სოფ. საიმერლოს შიდა გზების რეაბილიტაცია.
 - ✓ 159797 ლარი სოფ. აღმამედლოს შიდა გზების რეაბილიტაცია.
 - ✓ 108266 ლარი სოფ. დიოკნისში შიდა გზების რეაბილიტაცია.
 - ✓ 107000 ლარი სოფ. ლეჟბადინში ხიდის რეაბილიტაცია.
 - ✓ 76122 ლარი სოფ. სადახლოს სადგურის შიდა გზების რეაბილიტაცია.
 - ✓ 100581 ლარი სოფ. სიონში შიდა გზების რეაბილიტაცია.
 - ✓ 88368 ლარი სოფ. წერაქვის შიდა გზების რეაბილიტაცია.
 - ✓ 261380 ლარი სოფ. წერეთლის შიდა გზების რეაბილიტაცია.
 - ✓ 33656 ლარი გახარჯულია სოფლები აღმამედლოს, წერაქვის, სიონის, თაქალოს, ქუტილარის, დიოკნისის, არაფლოს ყუდროს, სადახლო სადგურის, ბეგლიარისა და ყიზილ-აჯლოს გზების რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის.
 - ✓ 12235 ლარისოფ. ყიზილ-აჯლოს შიდა გზების რეაბილიტაცია.
 - ✓ 393447 ლარი სოფ. დამია გერარხის შიდა გზების რეაბილიტაცია, აქედან 373775 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებით გამოდოფილი თანხა, ხოლო 19672 ლარი ადგილობრივი სახსრებით.
 - ✓ 808323 ლარი სოფ. ყიზილ-აჯლოს შიდა გზების რეაბილიტაცია, აქედან 760000 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175

განკარგულებით გამოღოფილი თანხა, ხოლო 48323 ლარი ადგილობრივი სახსრებით.

- ✓ 398462 ლარი სოფ. ქუტლიარის შიდა გზების რეაბილიტაცია, აქედან 378541 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებით გამოღოფილი თანხა, ხოლო 19921 ლარი ადგილობრივი სახსრებით.
- ✓ 390856 ლარი სოფ. თამარისის შიდა გზების რეაბილიტაცია, აქედან 371313 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებით გამოღოფილი თანხა, ხოლო 19543 ლარი ადგილობრივი სახსრებით.
- ✓ 358997 ლარი სოფ. თაქალოს შიდა გზების რეაბილიტაცია, აქედან 341047 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებით გამოღოფილი თანხა, ხოლო 17950 ლარი ადგილობრივი სახსრებით.
- ✓ 395701 ლარ სოფ. კასუმლოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, აქედან 375918 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებით გამოღოფილი თანხა, ხოლო 19783 ლარი ადგილობრივი სახსრებით.

7.2. სარწყავი არხების მოწყობა, რეაბილიტაცია და გაწმენდაზე სულ გახარჯულია 666 971 ლარი. აქედან საქონელი და მომსახურების მუხლით გახარჯულია 1159 ლარი, ვალდებულებების კლების მუხლით გახარჯულია 2452 ლარი სოფ. თამარისის სარწყავი არხის რეაბილიტაციაზე, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 663360 ლარი. მათ შორის:

- ✓ 379407 ლარი სოფ. მე-2 ქესალოში ნაპირსამგრი სამუშაოზე.
- ✓ 1852 ლარი სოფ ბეითარაბჩის სარწყავი არხის რეაბილიტაციაზე.
- ✓ 10183 ლარით შეზენილია სამი ცალი სოფ. დამია, ბეიტარაბჩი და ცოფისათვის სარწყავი ტუმბო.
- ✓ 82197 ლარი სოფ ზემო სარალში სარწყავი არხის მილსადენების მშენებლობაზე.
- ✓ 62956 ლარი ქ. მარნეულში კობულეთის ქუჩაზე ნაპირსამგრი სამუშაოზე.
- ✓ 401 ლარი სოფ. პირველი ქესალოს სარწყავი ჭაბურღილის მოწყობაზე.
- ✓ 18126 ლარი სოფ. წერეთლის სარწყავი არხის რეაბილიტაციაზე.
- ✓ 38949 ლარი სოფ. ამბაროვკის სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობაზე.
- ✓ 54813 ლარი სოფ. იმირში ნაპირსამგრი სამუშაოზე.
- ✓ 14476 ლარით შეძენილია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები.

7.3. წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე გახარჯულია სულ 2 220 669 ლარი, აქედან, შპს „მარნეულის სოფწყალი“ სუბსიდიის სახით დაფინანსებულია 821694 ლარით, აქედან დაფინანსებული სუბიდიიდან შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს მიერ შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 141887 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე – 668 807 ლარი, დარჩენილი ნაშთი შეადგენს 11000 ლარი, ხოლო შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს 2016 წლის განმავლობაში საკუთარი შემოსავლები შეადგინა 354024 ლარი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით, აქედან შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია – 203609 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით – 82490 ლარი, წინა წლის ვალდებულებებზე – 53674 ლარი ხოლო დარჩენილი ნაშთი შეადგინა 14251 ლარი. წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის

ვალდებულებების მუხლით გაიხარჯა 46732 ლარი შემდეგი სოფლების სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე, მათ შორის:

- ✓ 5737 ლარი სოფ. სიონის სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობაზე.
- ✓ 13913 ლარი სოფ. არაფლოს, ახლომახმუდლოს, ენიკენდისა და სეიდიგოჯალოს სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე.
- ✓ 6530 ლარი სოფ. იმირისა და შულავრის სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე.
- ✓ 20552 ლარი სოფ. შაუმიანის სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაიხარჯა 1350185 ლარი შემდეგი სოფლების სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე, მათ შორის:

- ✓ 245859 ლარი სოფ. აღმამედლოს სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე.
- ✓ 36248 ლარი სოფ. დაშტაფის, ბაიდარის, ოფრეთის, ხოხმელის, ახლო ლალოს, ზემო სარალის, სარალის, ბურმას, სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე.
- ✓ 62258 ლარი სოფ. კიროვკის სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე.
- ✓ 5455 ლარით შექმნილია სასმელი წყლის ტუმბო სოფ. დამია, ბეითარაბჩი და ცოფისათვის.
- ✓ 5739 ლარი სოფ. ულიანოვკა, ოფრეთი და ჩანახჩის სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე.
- ✓ 36371 სოფ. თაზაქენდის სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე.
- ✓ 10115 ლარი სოფ. სადახლოში სასმელი წყლის.
- ✓ 25586 ლარი სოფ. ბურმას სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობაზე.
- ✓ 33556 ლარი სადახლოს სასმელი წყლის პირველი ეტაპის რეაბილიტაციაზე, აქედან 2476 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #34 განკარგულებით გამოყოფილი თანხა, ხოლო 31080 ლარი ადგილობრივი სახსრებით.
- ✓ 365264 ლარი სადახლოს სასმელი წყლის მე-2 ეტაპის რეაბილიტაციაზე, აქედან 347001 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებით გამოყოფილი თანხა, ხოლო 18263 ლარი ადგილობრივი სახსრებით.
- ✓ 108457 ლარი სოფ. ქვემო სარალში სასმელი წყლის რეზერვუარისა და ჭაბურღილის მოწყობაზე.
- ✓ 16857 ლარი სოფ. ბეგლიარის, თამარისის, წერეთლის და ბეითარაბჩის სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე.
- ✓ 131176 ლარი სოფ. ახლო-ლალოს სასმელი წყლის მე-2 ეტაპის რეაბილიტაციაზე, აქედან 124618 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებით გამოყოფილი თანხა, ხოლო 6558 ლარი ადგილობრივი სახსრებით.
- ✓ 17335 ლარი სოფ. პირველი ქესალოს სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე.
- ✓ 183763 ლარი სოფ. ზემო სარალის სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე, აქედან 174577 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175

განკარგულებით გამოღოფილი თანხა, ხოლო 9186 ლარი ადგილობრივი სახსრებით.

- ✓ 44437 ლარი სოფ. კაჩაგანის სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე.
- ✓ 24707 ლარით შეძენილია სოფ. კიროვკის, აღმამედლოს, სარალის, ბურმას, პირველი ქესალოს, თაზაქენდის, ახკულის, იმირის და ალგეთის სასმელი წყლის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

7.4. საკანალიზაციო სისტემების მოწყობა–რეაბილიტაციის ღონისძიებების მუხლით გახარჯულია სულ 14892 ლარი გაწმენდითი სამუშაოები.

7.5. მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაციაზე გახარჯულია 41632 ლარი ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩა #25, #86 და მაზნიაშვილის ქუჩა #2–ში.

7.6. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის მუხლით გაწეულმა ხარჯმა სულ შეადგინა 829919 ლარი. აქედან გარე განათების ელექტრო–ენერგიაზე – 402484 ლარი, მოვლა–შენახვის ხარჯებზე – 165 593 ლარი, ხოლო ახალი გარე განათების ქსელის მოწყობაზე – 261843 ლარი, მათ შორის;

- ✓ 213346 ლარი ქ. მარნეულში.
- ✓ 8807 ლარი საფ. კაჩაგანი და თაქალოში.
- ✓ 19689 ლარი სოფ. კირაჩ–მულანლო, დიოვნისი, საიმერლო და დოლისყანაში.
- ✓ 20000 ლარით შეძენილია გარე განათების სისტემის დისტანციური კონტროლის სადისპეჩერო მართვისა და კონტროლის პროგრამა თავისი აღჭურვილობით.

7.7. მუნიციპალიტეტის დასუფთავებაზე გახარჯულია სულ 1075024 ლარი, აქედან ა.ა.ი.პ „სუფთა მარნეული“-ს მიერ გახარჯული თანხა შეადგენს 990024 ლარი, მათ შორის: თანამდებობრივი სარგოზე– 568610 ლარი, პრემიაზე – 93681, შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგოზე –70960 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა პრემიაზე – 9180 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე – 246845 ლარი, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლით – 748 ლარი. შპს „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“ 2016 წლის განმავლობაში მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღო 85000 ლარი სუბსიდიის სახით, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი სუბსიდიის ფარგლებში შეადგინა 3981 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები შეადგინა 16080 ლარი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთით საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, აქედან სუბსიდიის ფარგლებში გაიხარჯა 87843 ლარი, აქედან თანამდებობრივი სარგოზე – 62975 ლარი, პრემიაზე – 1149 ლარი, ქონების გადასახადზე – 9436 ლარი, საწვავის ხარჯზე –9453 ლარი, სფეც. ტენიქის მოვლა–შენახვის ხარჯზე – 4830 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლების ფარგლებსი 12691 ლარი, აქედან თანამდებობრივი სარგოზე – 1099 ლარი, პრემიაზე – 7351 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე – 4241 ლარი.

7.8. მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკზე“ გადარიცხული სუბსიდია შეადგინა 350000 ლარი, 34816 ლარი გათვალისწინებულია 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სუბსიდიის ფარგლებში არსებული ნაშთით, ხოლო საკუთარი შემოსავლები 2016 წლის

განმავლობაში შესრულდა 403579 ლარით, 37346 ლარი არის 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საკუთარი შემოსავლების ფარგლებში არსებული ნაშტით, აქედან სუბსიდიის ფარგლებში შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 9995 ლარი, საწვავის შეძენაზე – 254615 ლარი, საწვავ-საფოხ და სათადარიგო ნაწილებზე – 32203 ლარი, 34816 ლარით დაფარულია წინა წლის ვალდებულება, ხოლო 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგინა 53187 ლარი, რაც შეეხება საკუთარი შემოსავლების ფარგლებში გახარჯულ თანხას: თანდებობრივი სარგო გაცემულია – 292798 ლარი, პრემიაზე – 27450 ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვა საწვავ-საფოხ მასალა და სათადარიგო ნაწილებზე – 80961 ლარი, ოფისის ხარჯზე – 10267 ლარი, ხოლო 444000 ლარით შეძენილია სამი ცალი ავტობუსი.

7.9. ქალაქის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების და მილსადენების საკადასტრო რუქებისა და ნახაზების მომზადების ხარჯით გახარჯულია 6099 ლარი.

7.10. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სულ გახარჯულია 1809080 ლარი, აქედან 2016 წელს გამოყოფილი თანხიდან გახარჯულია – 1717785 ლარი, ხოლო 2015 წელს გამოყოფილი თანხიდან გახარჯულია 69092 ლარი, ხოლო ადგილობრივი სახსრების ფარგლებში თანადაფინანსება შეადგინა 22204 ლარი. (დანართი #2,#3,#4)

7.11. სკვერებისა და პარკების გაშენება-რეკონსტრუქციის, ქალაქის გამწვანებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებების მუხლით გახარჯულია 436825 ლარი, მათ შორის:

- ✓ 60450 ლარი სოფ. სადახლოში.
- ✓ 103723 ლარი სოფ. წერეთელში.
- ✓ 248858 ლარი ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩაზე.
- ✓ 17983 ლარი სოფ. შაუმიანში.
- ✓ 5810 ლარით მომზადებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

8. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 2413781 ლარი, აქედან:

8.1. სკოლამდელი აღზრდის ცენტრი დაფინანსებულია სუბსიდიის სახით 1432126 ლარი, აქედან თანამდებობრივი სარგოზე – 908387 ლარი, პრემიაზე – 80025 ლარი, შტატგარეშე თანამდებობრივი სარგოზე – 4892 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით – 2125 ლარი, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით – 415603 ლარი, 64975 ლარი დაფინანსებულია თანადაფინანსებით ა.ა.ი.პ „ასოციაცია ინვალიდი, ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“, ვალდებულებების კლების მუხლით გახარჯულია – 37182 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გახარჯულია 750339 ლარი, მათ შორის;

- ✓ 440205 ლარი სოფ. სადახლოში საბავშვო ბაღის მშენებლობა.
- ✓ 151030 ლარი სოფ. ალგეთში საბავშვო ბაღის მშენებლობა, აქედან 143479 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებით გამოღოფილი თანხა, ხოლო 7551 ლარი ადგილობრივი სახსრებით.
- ✓ 54715 ლარით დაფინანსდა ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე არსებული საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 15 % -ით თანადაფინანსება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიმართ.

- ✓ 104389 ლარი ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე არსებული საბავშვო ბაღის ეზოს კეტილმოწყობაზე.

8.2. საჯარო სკოლების დაფინანსების მიზნით გახარჯულია 70400 ლარი, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მასწავლებლების ხარჯებისთვის, ხოლო 48873 ლარის ღირებულებით გარემონტდა სოფ. დამია გეურარხის საჯარო სკოლაში ოთახები სკოლამდელი აღსაზრდელებისათვის.

9. სპორტული, კულტურული და რელიგიური ღონისძიებებზე გაიხარჯა 2661771 ლარი. აქედან:

9.1. სპორტულ ღონისძიებაზე 1717 ლარი, სპორტული სკოლების დაფინანსებაზე 2016 წლის განმავლობაში სუბსიდიის სახით გაიხარჯა 627914 ლარი, აქედან თანამდებობრივი სარგოზე – 338150 ლარი, პრემიაზე – 29060 ლარი, შტატგარეშე თანამდებობრივი სარგოზე – 32020 ლარი, შტატგარეშე თანამშრომლების პრემიაზე – 1300 ლარი, ხვა საქონელი და მომსახურებაზე – 216030 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით – 11354 ლარი, საფეხბურთო კლუბ „ალგეთის“ დაფინანსება შეადგენს გრანტის სახით 292081 ლარს, სუბსიდიის სახით კი 57919 ლარი, სპორტული მოედნების რეაბილიტაციაზე გახარჯულია 450297 ლარი, მათ შორის:

- ✓ 48840 ლარი სოფ. ალგეთში სპორტული მოედნის მოწყობა.
- ✓ 46505 ლარი სოფ. აჯანდარაში სპორტული მოედნის მოწყობა.
- ✓ 62886 ლარი ქ. მარნეულში სამხედრო ქალაქში სპორტული მოედნის მოწყობა.
- ✓ 40636 ლარი სოფ. შაუმიანში სპორტული მოედნის მოწყობა.
- ✓ 55427 ლარი ქ. მარნეულში გამსახურდიას ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობა.
- ✓ 1029 ლარი. სოფ. თამარისში და ქ. მარნეულის 26 მაისის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობა.
- ✓ 177000 ლარიტ შეძენილია ქ. მარნეულსი არსებული საფეხბურთო სტადიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.
- ✓ 3638 ლარი სოფ. შულავერში სპორტული მოედნის მოწყობა.
- ✓ 5068 ლარით შეძენილია სხვადასხვა სოფლების სპორტული მოედნების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

9.2 კულტურულ სფეროში კი „კულტურის ცენტრი“ დაფინანსებულია სუბსიდიის სახით 584139 ლარით, აქედან თანამდებობრივი სარგოზე-367219 ლარი, პრემიაზე – 86626 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით – 609 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე – 109671 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით – 20014 ლარი. კულტურული ღონისძიებებზე გახარჯულია სულ 188 939 ლარი, აქედან, ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით –21667 ლარი, საახალწლო ღონისძიებასთან დაკავშირებით – 73381 ლარი, 26 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით – 19312 ლარი, ღონისძიება ერთიანი კავკასიის ორგანიზებასთან დაკავშირებით – 52820, ხოლო 21759 ლარი გახარჯულია სხვადასხვა ღონისძიებებზე. ვალდებულებების კლების მუხლით გახარჯულია – 5679 ლარი. კულტურული დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე გახარჯულია სულ 112720 ლარი, მათ შორის:

- ✓ 10859 ლარი სოფ. თამარისის კულტური სახლი.
- ✓ 67637 ლარი სოფ. აღმამედლოს კულტური სახლი.
- ✓ 27282 ლარი სოფ. სიონის კულტური სახლი.
- ✓ 5300 ლარით შეძენილია სოფ. სოფ. წერაქვში მუზეუმისათვის შენობა.
- ✓ 1642 ლარით შეძენილია სოფ. წერაქვში მუზეუმისათვის შეძენილ შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთარრიცხვო დოკუმენტაცია.

9.3 სატელევიზიო მომსახურებაზე – 71980 ლარი.

9.4 რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობისათვის 2016 წლის განმავლობაში გახარჯულია 259 801 ლარი.

- 10 2016 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაზე გახარჯულია 143 229 ლარი, აქედან თანამდებობრივი სარგოზე – 89381 ლარი, პრემიაზე – 7770 ლარი, შტატგარეშე თანამდებობრივი სარგოზე – 31675 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა პრემიაზე – 2040 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე – 11345 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით – 1018 ლარი.
- 11 სოციალურად დაუცველი მოსახლეობაზე დახმარების მიზნით გაწეულია 1010521 ლარის ხარჯი, აქედან ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლით – 594689 ლარი, სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ღონისძიებების მუხლით – 98800 ლარი, ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის მუხლით – 311282 ლარი, ხოლო ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების მუხლით გახარჯულია 5750 ლარი.
- 12 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგინდა 3124890 ლარი, აქედან 455971 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებით გამოლოფილი თანხიდან დარჩენილი ნაშთი სოფ. ალგეთის საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის, 458960 ლარი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის #265 განკარგულებით გამოლოფილი თანხიდან, 39059 ლარი საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის #506 განკარგულებით გამოლოფილი თანხიდან, 7060 ლარი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის #34 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან, 3762 ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხიდან, რომელიც დაბრუნდა სახელმწიფო ხაზინაში, ხოლო დარჩენილი 2160077 ლარი შეადგენს ადგილობრივი სახსრები.

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:

/ვ. მამედოვი/